საქართველოს მთავრობის სტრატეგია
ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა
და ინფორმაციის შესახებ
2014-2017 წლებისთვის

შესავალი

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია ევროკავშირთან პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება და პოლიტიკური დიალოგის გაძლიერება. აგრეთვე ე.წ. ოთხი თავისუფლების (ხალხის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება) პრინციპით სარგებლობის ეტაპობრივი გავრცელება და გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება.

ინსტიტუციურ დონეზე საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას კოორდინირებას უწევს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. კომისიას თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ მინისტრი. ამასთან, ევროინტეგრაციის კუთხით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. აღნიშნული უწყების ერთ-ერთი ფუნქციაა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და თემის პოპულარიზაცია. ამის გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოებისა (არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ბიზნესის წარმომადგენლები და უმაღლესი სასწავლებლები, მეწარმეთა და პროფესიული გაერთიანებები) და საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენელთა თანამშრომლობის საფუძველზე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა **ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2014-2017 წლებისთვის (შემდგომში სტრატეგია).**

ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ხელი 1996 წელს მოეწერა. შეთანხმება ძალაშია 1999 წლიდან. ხელშეკრულების ძირითადი მიზნებია: შეიქმნას პოლიტიკური დიალოგის ჩარჩო, რათა განვითარდეს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობები; ევროკავშირის დახმარებით საქართველომ განამტკიცოს დემოკრატია და განავითაროს ეკონომიკა; მხარეებს შორის დამყარდეს ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობები და ხელი შეეწყოს ვაჭრობასა და ინვესტირებას; საფუძველი ჩაეყაროს საკანონმდებლო, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ, სამოქალაქო, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და კულტურულ თანამშრომლობას.

საქართველო-ევროკავშირს შორის პოლიტიკური დიალოგის და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილია თანამშრომლობის საბჭო, თანამშრომლობის კომიტეტი და თანამშრომლობის ქვეკომიტეტები.

2003-2004 წლებში ევროკომისიამ შეიმუშავა ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, რომლის მიზანია გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების

თავიდან აცილება და ევროკავშირის მეზობლებისათვის კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2006 წლის 14 ნოემბერს ხელი მოეწერა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას. იგი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც საქართველოს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ ამოცანებს განსაზღვრავს. მისი განხორციელება ხელს უწყობს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დებულებების შესრულებას, განამტკიცებს კავშირებს თანამშრომლობის ახალ სფეროებში და ეხმარება საქართველოს ევროკავშირის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში ინტეგრირებაში.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ხელმოწერიდან ექვსი წლის შემდეგ საქართველომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების შესრულების კუთხით. კერძოდ:

- საქართველო სარგებლობს ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათებით მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის.
- 2010 წლის 16 თებერვალს ოფიციალურად დაიწყო „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობა.

- 2010 წლის 15 ივლისს დაიწყო და 2013 წლის ივლისში დასრულდა ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები, რომლის ნაწილიცაა "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე" (DC FTA), რომელზეც მოლაპარაკებები 2012 წლის 28 თებერვალს გაიხსნა და ასევე 2013 წლის ივლისში დასრულდა.

- 2010 წლის 2 დეკემბერს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ'' შეთანხმებას.

- 2011 წლის 1 მარტს ძალაში შევიდა შეთანხმებები ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ” და „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ".

- 2011 წლის 14 ივლისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ“ ხელშეკრულებას, რომელიც 2012 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში.

- 2012 წლის 15 მაისს ევროკავშირმა შეიმუშავა აღმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუკა 2012-2013 წლებისთვის.

- 2012 წლის 4 ივნისს გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ.

- 2013 წლის 25 თებერვალს საქართველოს გადაეცა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

საქართველო გეგმაზომიერად ახორციელებს ევროკავშირთან სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჰარმონიზაციას, რათა გახდეს მისი სანდო და ღირსეული პარტნიორი.
საქართველოს ევროინტეგრაციის კურსს მხარს უჭერს ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ჯგუფი, პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. კავკასიის კვლევებისა და რესურსების ცენტრის მიერ 2011 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 49% ისურვებდა ევროკავშირის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებას. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 80% მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას.
მიუხედავად ევროინტეგრაციის პროცესის ზოგადი მხარდაჭერისა, ბოლო წლებში ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნია ევროკავშირის და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს პროცესის მიმართ არასწორი დამოკიდებულებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბებას.
აქედან გამომდინარე, საჭიროა რომ ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებული სარგებლის, ვალდებულებებისა და ევროპული ღირებულებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს მთელ მოსახლეობას, მათ შორის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას. ამის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტის ძირითადი მიზანია საქართველოს მოსახლეობისათვის ევროინტეგრაციის პროცესზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესება და აგრეთვე, საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება საქართველოს მიერ ევროპული ღირებულებების გაზიარების შესახებ და ამ გზით ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება.
სტრატეგია ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის წარმატებულ განხორციელებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოში უცხოური ინვესტიციების, ქვეყნის სავაჭრო შესაძლებლობების, საქართველოს მოქალაქეთა თავისუფალი მიმოსვლის,

საქმიან წრეებს შორის ურთიერთობების, ტურიზმის ასევე სტუდენტთა და კულტურული გაცვლითი პროგრამების განვითარებისათვის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომობა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. მათი თანამშრომლობის საფუძველზე უნდა შემუშავდეს „საქართველოს მთავრობის ევროინტეგრაციის კომუნიკაციის და ინფორმაციის სტარატეგიის“ ერთობლივი ყოველწლიური სამოქმედო გეგმა და ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინირების გზით მოხდეს აღნიშნული გეგმის შესრულება. აღნიშნულ ყოველწლიურ გეგმაში ასახული იქნება განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებები, მათი შესრულების ვადები, ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები და დაფინანსების წყაროები.

მიზნები

წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ შესაძლებლობებსა და ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე. ასევე საჯარო მოხელეთა ცოდნის ამაღლება და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მიმდინარე პროცესის შესახებ.

დოკუმენტის <u>ამოცანებია</u>:

- ევროინტეგრაციის დადებითი მხარეებისა და შესაძლებლობების წარმოჩენა;
- ევროინტეგრაციის თემატიკის პოპულარიზაცია;
- მოსახლეობისათვის (განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის) ობიექტური, ადვილად ხელმისაწვდომი და მარტივად გასაგები ინფორმაციის მიწოდება;
- აკადემიურ, ბიზნეს და სამოქალაქო სექტორებში (უნივერსიტეტები, აკადემიური წრეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ბიზნეს და პროფესიული კავშირები და ასოციაციები) მომუშავე პირების ინფორმირებულობის გაზრდა;
- ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისა და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით საკანონმდებლო ინიციატივებზე ფართო საზოგადოების განსაკუთრებით სტრატეგიით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფების ინფორმირება;
- მოსახლეობაში არარეალური მოლოდინების შექმნის თავიდან აცილება;
- საზოგადოებაში ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ არასწორი დამოკიდებულებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბების თავიდან აცილება;

- საზოგადოების ჩართულობის გაზრდა ევროინტეგრაციის პროცესში და ამ პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე მთავრობის მიერ მოქალაქეთა მხრიდან სისტემატური უკუკავშირის უზრუნველყოფა.
- სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება;
- საჯარო მოხელეთათვის ევროინტეგრაციის საკითხებზე ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება;

სტრატეგია ეფუძნება სამ ძირითად ასპექტს.

- *განათლება*
- *ინფორმირება*
- *მხარდაჭერა/საჯარო ადვოკატირება*

<u>**განათლება**</u> გულისხმობს რეგულარულ და/ან ალტერნატიულ, გრძელ და/ან მოკლევადიან, ზოგად და სპეციფიურ საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის. პროგრამები უნდა მოიცავდეს ევროინტეგრაციის კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციას. ამასთან, განათლების კუთხით მნიშვნელოვანია ევროკავშირის ინსტიტუტებში შემეცნებითი ტურებისა და გრძელვადიანი სასწავლო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის კომპონენტის გათვალისწინება.

<u>**ინფორმირება**</u> გულისხმობს ევროინტეგრაციის პროცესების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის გავრცელებას. მისი მიზანია სამიზნე ჯგუფების (უნივერსიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ბიზნეს და პროფესიული კავშირები და ასოციაციები და ა.შ.) ცოდნის ამაღლება ევროკავშირის ინსტიტუტების, მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის, მხარდაჭერის პროგრამების, ასევე ევროკავშირთან ასოცირების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი აქტივობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესახებ. ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის აღნიშნული ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება.

მნიშვნელოვანია, სამიზნე ჯგუფებს მიეწოდოთ ინფორმაცია ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ, როგორც თვალსაჩინოდ პოზიტიურ, ასევე ნაკლებად პოპულარულ საკითხებზე (მაგ: სხვადასხვა სფეროებში მტკივნეული და ძვირადღირებული რეფორმების გატარება, უმცირესობათა უფლებების დაცვა და სხვა). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მტკივნეულ რეფორმებს, რომელთა განხორციელების ვალდებულებასაც აიღებს საქართველოს ხელისუფლება. საჭიროა აღნიშნული ნაკლებად პოპულარული რეფორმების გატარების აუცილებლობის შესახებ დეტალური და სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენა.

<u>**მხარდაჭერა/საჯარო ადვოკატირების**</u> მიზანია ევროინტეგრაციის მხარდაჭერის გაზრდა-გაძლიერება, სამიზნე ჯგუფებთან აქტიური დიალოგისა და მათი ინტერესების დაკმაყოფილების

გზით. ამის გათვალისწინებით, საჭიროა საქართველოს ხელისუფლების თანამშრლომლობა სამიზნე ჯგუფებთან იმ შედეგების უკეთ წარმოსაჩენად, რისი მიღწევაც უკვე მოხერხდა ევროინტეგრაციის პროცესში.

საქართველოს ევროინტეგრაციის იდეის ადვოკატირება ევროკავშირის სტრუქტურებსა და წევრი ქვეყნების პოლიტიკურ ცენტრებში, მათ შორის წევრი ქვეყნების სამოქალაქო სტრუქტურებთან თანამშრომლობით.

ძირითადი გზავნილი

კომუნიკაცია ეფუძნება **ღია, გამჭვირვალე, დროული, ამომწურავი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდების პრინციპს.** ამის გათვალისწინებით, კომუნიკაცია უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს, ხოლო გზავნილები პასუხობდეს მათ მოთხოვნილებებს.

აუცილებელია, ძირითადი გზავნილისას ხაზი გაესვას ფაქტს, რომ ევროინტეგრაციის პროცესს სარგებელთან ერთად თან ახლავს ვალდებულებები. იგი უნდა იყოს ობიექტური და გამოხატავდეს ოპტიმიზმს ევროკავშირში საქართველოს დაახლოებასთან დაკავშირებით.

ძირითადი გზავნილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

მიუხედავად იმისა, რომ ევროინტეგრაცია მნიშვნელოვანი და კომპლექსური რეფორმების განხორციელებას უკავშირდება, იგი უნიკალური შესაძლებლობაა საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის საკუთარი და თავისი ოჯახის ცხოვრება გაიუმჯობესოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს კომუნიკაციაში გამოყენებულ ენაზე.

კომუნიკაციის ენა, გზავნილი, შინაარსი და მოცულობა უნდა ჩამოყალიბდეს სამიზნე ჯგუფების, ინდივიდუალური პროგრამებისა და აქტივობების შესაბამისად. ზოგიერთი სამიზნე ჯგუფისათვის საჭირო იქნება მარტივი შინაარსისა და ენის გამოყენებით, ადექვატური და ადვილად აღსაქმელი გზავნილის მიწოდება. საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ მედია საშუალებებთან ერთად, მნიშველოვანია საქართველოში ინგლისურ (და სხვა ენებზე) მოქმედ მედია საშუალებებთან კომუნიკაცია.

სამიზნე ჯგუფები

ევროინტეგრაციის პროცესის კომპექსურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით საჭიროა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ საზოგადოების ფართო სპექტრთან კომუნიკაცია.

კომუნიკაცია ეროვნულ დონეზე

ეროვნულ დონეზე კომუნიკაცია უკავშირდება საქართველოში არსებულ სამიზნე ჯგუფებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირება ყველა სოციალურ ჯგუფს შეეხება, საჭიროა სამიზნე ჯგუფებისა და შესაბამისი კომუნიკაციის არხების სწორად შერჩევა.
ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- ახალგაზრდები
- მოწყვლადი ჯგუფები
- გამავრცელებლები (საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედების მქონე სუბიექტები)

• ახალგაზრდები

საკომუნიკაციო აქტივობები უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდების კონკრეტულ საჭიროებებსა და მოლოდინებს. აღნიშნულ ჯგუფთან კომუნიკაციის ძირითადი მიზანია მათი ცოდნის გაზრდა ევროპული ღირებულელების შესახებ და სტიმულირება უფრო აქტიურად ჩაერთონ ევროინტეგრაციის პროცესში.
აღნიშნულ ჯგუფში შედიან:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის მოსწავლეები
2. უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები

• მოწყვლადი ჯგუფები

მოცემული ჯგუფი აერთიანებს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლისთვისაც ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაცია ძნელად არის ხელმისაწვდომი და რომელიც განსაკუთრებით საჭიროებს აღნიშნული პროცესის შესახებ განმარტების მიღებას .
აღნიშნულ ჯგუფში შედიან:

1. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოსახლეობა
2. ახალგაზრდები რომლებიც არ იღებენ განათლებას
3. იძულებით გადაადგილებული პირები
4. პენსიონერები
5. საქართველოში მცხოვრები უმცირესობები
6. სოფლად მცხოვრები საქართველოს მოსახლეობა
7. უმუშევრები
8. სოციალურად დაუცველი პირები
9. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები

10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

• გამავრცელებლები

გამავრცელებლები წარმოადგენენ სამიზნე ჯგუფს, როგორც ქვეყნის შიგნით ისე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რომელთაც შესწევთ უნარი გავლენა მოახდინონ საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაზე:

1. ადგილოვრივი თვითმმართველობები
2. არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები
3. მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულები
4. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები
5. ბიზნეს ასოციაციები
6. დიასპორული ორგანიზაციები
7. საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები
8. მედია
9. პარლამენტის წევრები
10. პოლიტიკური თანამდებობის პირები
11. პოლიტიკური პარტიები
12. პროფესიული კავშირები
13. პროფესორ-მასწავლებლები და ხელოვნების მუშაკები
14. რელიგიური გაერთიანებები
15. საჯარო მოხელეები/ცენტრალური ხელისუფლება
16. საგანმანათლებლო დაწესებულებები (ყველა დონეზე)

კომუნიკაცია საერთაშორისო დონეზე

ევროინტეგრაციის პროცესში პროგრესის მისაღწევად მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრი ქვეყნების და მათი მოქალაქეების უფრო მტკიცე მხარდაჭერის მოპოვება. ამის გათვალისწინებით, საჭირო იქნება საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება და ამ მიზნით ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მათი მოქალაქეებისათვის საქართველოს მიერ ევროპული ღირებულებების გაზიარების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება. კომუნიკაციის საერთაშორისო დონეზე გამოიყოფა შემდეგი სამიზნე ჯგუფი:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები
- ევროკავშირის ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მქონე ორგანიზაციები და ინდივიდები

- ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოღვაწე საქართველოს მოქალაქეები და დიასპორული ორგანიზაციები
- ინტერესთა ჯგუფები

აღნიშნული სამიზნე ჯგუფი მოიცავს საქართველოში აკრედიტირებული ევროკავშირის ქვეყნების დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ევროკავშირის დელეგაციას, ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ოფიციალურ პირებს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების აკადემიურ წრეებს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს და უცხოურ მედია საშუალებებს.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მქონე ორგანიზაციები და ინდივიდები წარმოადგენენ მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ ევროკავშირის ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

აღნიშნულ სამიზნე ჯგუფთან კომუნიკაციის მიზანია მათთვის ქვეყნის მიერ ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და რეგულარული კონტაქტების ჩამოყალიბება.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აკრედიტირებულ საქართველოს დიპლომატიურ მისიებსა და საკონსულოებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ აღნიშნულ სამიზნე ჯგუფთან კომუნიკაციის პროცესში. სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციის საფუძველზე, მათ უნდა მოახდინონ ქვეყნის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბება და ადგილობრივი სამიზნე ჯგუფებისათვის ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე საქართველოს პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მქონე ორგანიზაციებსა და ინდივიდებს უნდა მიეწოდოთ დროული, ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია იმ პროგრესის შესახებ, რასაც საქართველო აღწევს ევროკავშირთან ასოცირების პროცესში ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორებიცაა:

- ადამიანთა უნივერსალური, მათ შორის უმცირესებათა უფლებების დაცვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული რეფორმები;
- ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდა;
- ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუკით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
- ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ერთიანი ბაზარი, სექტორული პოლიტიკა, სამართალი, თავისუფლება და უსაფრთხოება;
- ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

- რეგიონალური თანამშრომლობა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება;
- საბაზრო ეკონომიკა (განსაკუთრებით მცირე ბიზნესისა და ინოვაციური განვითარების პოლიტიკის ხელშეწყობა);
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო მიმოსვლის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების განხორციელება.

ამასთან აღნიშნულ სამიზნე ჯგუფებთან ინტერაქციის შედეგად მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს ითამაშებს კომუნიკაციის შემდგომი აქტივობების დაგეგმვის კუთხით.

ინტერესთა ჯგუფი მეტად მრავალფეროვანია და შესაბამისად, მათთან კომუნიკაცია დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს მოითხოვს. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ზოგადი გზავნილისა და პრიორიტეტების შერჩევა და კომუნიკაცია ორი ძირითადი მიმართულებით:

- **ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესება** - რაც გულისხმობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ცნობიერების ამაღლებას საქართველოს ცივილიზირებული, ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და ზოგადი ღირებულებებისა და შესაძლებლობების თაობაზე.
- **კომუნიკაცია ქვეყანასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე** - რომლებზეც არის ინტერესი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობაში.

სტრატეგია უკავშირდება სახალხო დიპლომატიის კონკრეტულ საკითხებს, ისევე როგორც ქვეყნის ბრენდირებას, ამასთან ნათელია, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ესაჭიროება ქვეყნის იდენტურობის საკითხებზე უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც ქვეყნის, უკეთ აღქმას ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობაში და მის ევროკავშირთან დაახლოებას.

თემები, რომლებიც დააინტერესებს ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ სამიზნე ჯგუფებს მიზანშეწონილია განისაზღვროს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის კვლევების საფუძველზე, ასევე თავად ევროკავშირის მიერ ჩატარებული კვლევებით (Eurobarometer-ის მიერ ჩატარებული კვლევები), სადაც წარმოდგენილია ევროკავშირის მოქალაქეების დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის საკითხებთან. Eurobarometer-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების საფუძველზე მნიშვნელოვანია, საწყის ეტაპზე ყურადღების გამახვილება შემდეგ საკითხებზე:

- ეკონომიკა და ბიზნესი
- კულტურული და რელიგიური საკითხები
- თავისუფლება და დემოკრატიული ღირებულებები
- მიგრაცია.

პარტნიორები

ევროინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია. ამ მიზნით საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, საქართველოს პარლამენტი და სხვა უწყებები იღებენ ვალდებულებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აამაღლონ საზოგადოების ცნობიერების დონე.

კომუნიკაციის საქმეში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის პარტნიორები არიან სახელმწიფო უწყებები, ორგანიზაციები და ინდივიდები, რომელთაც თავიანთი აქტივობით შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე (მოცემულ დოკუმენტში ისინი გაერთიანებულნი არიან გამავრცელებლების სამიზნე ჯგუფში).

საქართველოს მოქალაქეებთან კომუნიკაციის მიზნით საქართველოს მთავრობას ჰყავს პარტნიორები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

პარტნიორები საქართველოში

1. ადგილობრივი ხელისუფლება

ადგილობრივ ხელისუფლებასთან, თემებთან და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა კომუნიკაციის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია.

2. მოსწავლეები და აკადემიური წრეები

უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, საჯარო სკოლები თავიანთი პროფესიული შესაძლებლობების გათვალისწინებით უმნიშვნელოვანეს პარტნიორებს წარმოადგენენ. ისინი უშუალოდ უნდა მონაწილეობდნენ კომუნიკაციის სტრატეგიით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებაში. მათი როლი მნიშვნელოვანია ასევე ახალგაზრდებში ღირებულებათა ჩამოყალიბების საქმეში.

3. არასამთავრობო ორგანიზაციები

ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში ევროპული ღირებულებების გავრცელების საქმეში უდიდესი როლი ითამაშეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. შესაბამისად, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვანი პარტნიორები უნდა გახდნენ სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნის მიღწევის საქმეში მათი ინიციატივებიდან, პროგრამებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე.

4. ბიზნეს სექტორი

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობა სტრატეგიის განხორციელებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ამის გათვალისწინებით, საჭიროა სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან,

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებსა და პროფესიულ კავშირებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

5. საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, აუცილებელია მათი ჩართვა სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად.

6. მედია

მედია დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში (განსაკუთრებით ტელევიზია). ამის გათვალისწინებით, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით აუცილებელია მედიასთან რეგულარული თანამშრომლობა. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი კანონით ნაკისრი ვალდებულების მიხედვით მოახდენს ევროინტეგრაციის პროცესის რეგულარულ გაშუქებას. ხელისუფლება ითანამშრომლებს ელექტრონულ და ბეჭდვურ მედიასთან, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. რედაქტორებთან, პროდიუსერებთან და ჟურნალისტებთან სექტორული თანამშროლობა, საშუალებას მისცემს მას-მედიის წარმომადგენლებს აიმაღლონ ცოდნა და კვალიფიკაცია, ამასთან უფრო ობიექტური, ამომწურავი და ადვილად აღსაქმელი ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას სპეციფიურ საკითხებზე (მაგალითად: ვიზების ლიბერალიზაცია, განათლება, სავაჭრო ურთიერთობები). აგრეთვე მნიშვნელოვანია ქართველი ჟურნალისტებისთვის მედია ანალიზის, მედია მონიტორინგის და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებისთვის სასწავლო პროგრამების ხელშეწყობა.

7. რელიგიური გაერთიანებები

იმის გათვალისწინებით, რომ რელიგიური გაერთიანებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, აუცილებელია მათი ჩართვა სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში.

8. სახელმწიფო ინსტიტუტები

ევროინტეგრაციის პროცესში განსახორციელებელი რეფორმების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობაზე. ამასთან, ისინი წარმოადგენენ ძირითად პარტნიორებს კომუნიკაციის სფეროში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უნდა მოხდეს სექტორული სამიზნე ჯგუფებისათვის გზავნილის ჩამოყალიბება და მიწოდება.

სტრატეგიის წარმატებით განხორციელება დიდწილად უკავშირდება ევროინტეგრაციის სფეროში სახელმწიფო მოხელეების გადამზადებას.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები საერთაშორისო საზოგადოებასთან კომუნიკაციის მნიშნველოვანი პარტნიორები არიან. ამის გათვალისიწინებით, საჭიროა დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მომუშავე საჯარო მოხელეებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები კომუნიკაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობების და სახალხო დიპლომატიის საკითხებზე. ასევე აუცილებელია საჭირო ინფორმაციის გაცვლა და კოორდინირება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ, საკონსულო, კულტურულ და სავაჭრო წარმომადგენლობებს შორის.

პარტნიორები საერთაშორისო დონეზე

1. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ევროკავშირის დელეგაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროკავშირის ინსტიტუტებთან კონტაქტის და ქვეყანაში ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელების კუთხით. აუცილებელია მათთან რეგულარული კონტაქტები, ინფორმაციის გაცვლა და დიალოგი, რათა ევროკავშირში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები უკეთ იყვნენ ინფორმირებული საქართველოს ევროინტეგრაციის კუთხით არსებული სიტუაციის თაობაზე. ევროკავშირის ინსტიტუტების დახმარება და მხარდაჭერა, პროფესიული, ორგანიზაციული და ფინანსური კუთხით, უაღრესად მნიშნელოვანია ევროინტეგრაციის პროცესში.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ევროკავშირის დახმარება საქართველოსთვის, რომელიც სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით არის წარმოდგენილი. ამასთან მნიშვნელოვანია ერთობლივ სათემო, რეგიონულ პროექტებსა და ინიციატივებში მონაწილეობა, ერთობლივი კონფერენციების, მრგვალი მაგიდების და რეგულარული შეხვედრების გამართვა ევროკავშირის ინსტიტუტების, წევრი ქვეყნების და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. საქართველოში მყოფი ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატიური, საკონსულო, სავაჭრო და კულტურული მისიები

საქართველოში აკრედიტირებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოები, საკონსულოები, სავაჭრო და კულტურული მისიები წარმოადგენენ ევროკავშირთან ურთიერთობების დამატებით არხს. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები დიდ როლს თამაშობენ საქართველოს მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავებაში მნიშნველოვანია მათთან მუდმივი ურთიერთობები და ინფორმაციის მიწოდება.

3. საერთაშორისო ორგანიზაციები

საერთაშორისო ორგანიზაციებს მათი ექსპერტების საშუალებით შეუძლიათ მნიშნველოვანი პროფესიული დახმარება გაუწიონ საქართველოს ხელისუფლებას წარმოდგენილი სტრატეგიის განხორციელებაში.

4. საერთაშორისო ფონდები

საერთაშორისო ფონდები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პარტნიორებს სტრატეგიის განხორციელებაში. ქვეყნის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა და ევროკავშირიდან პირდაპირი სახით მიღებული დახმარების გარდა, საერთაშორისო ფონდებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ დაგეგმილი აქტივობების უკეთ განხორციელებას.

5. უცხოური მედია

უცხოური მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. მათთან კომუნიკაციისას მნიშვნელოვანი ამოცანაა მათი სტიმულირება, რათა ისინი უფრო მეტად ჩაერთონ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის გაშუქებაში.
ამის გათვალისწინებით, სტრატეგიის განხორციელების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს უცხოურ მედიასთან ურთიერთობის ნაწილს.

6. ქართული დიასპორული ორგანიზაციები საზღვარგარეთ

ქართული დიასპორული ორგანიზაციები საზღვარგარეთ წარმოადგენენ მნიშნვნელოვან პარტნიორებს სტრატეგიის განხორციელებაში. მათ შეუძლიათ მოახდიონონ, როგორც უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთა (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში სასწავლებლად წასული სტუდენტების), ასევე მოცემულ ქვეყნებში მოქმედი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ინფორმირება ევროინტერგაციის საკითხზე.

დაფინანსება

სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა განისაზღვრება ყოველწლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე და დაიფარება შემდეგი წყაროებიდან:

1. საქართველოს ბიუჯეტი

ყოველწლიურად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა უწყებებმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამამ სტრატეგიის შესაბამისი ყოველწლიური სამოქმეგო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა განახორციელონ წლიური ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

2. საერთაშორისო დონორები

საერთაშორისო მხარდაჭერა უკავშირდება კონკრეტული აქტივობების დაფინანსებას. შესაბამისი საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი პარტნიორებს აღმოუჩენს ტექნიკურ და პროფესიულ მხარდაჭერას და გაუწევს რეკომენდაციებს.

3. საერთაშორისო არასამთავრობო ფონდები

საერთაშორისო არასამთავრობო ფონდები წარმოადგენენ კომუნიკაციის სტრატეგიით გათვალისწინებული იმ აქტივობების დაფინანსების ან თანადაფინანსების პოტენციურ წყაროს, რომლებიც თანხვედრაში იქნება მათ მიზნებთან.

4. არასამთავრობო ორგანიზაციები

კომუნიკაციის სტრატეგიითა და ყოველწლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი, შესაძლოა განხორციელდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დამოუკიდებელი პროექტების განხორციელების შედეგად. ამის გათვალისწინებით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი გააგრძელებს და გააფართოვებს პარტნიორებთან თანამშრომლობას.

5. სხვა წყაროები

კერძო სექტორი, პირადი შემოწირულობები, სხვა.

მიდგომა და განხორციელება

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი პასუხისმგებელი იქნება, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებთან და სხვა პარტნიორებთან (მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან) თანამშრომლობის საფუძველზე, მოამზადოს სტრატეგიის განხორციელების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა (რომელსაც ყოველი მიმდინარე წლის დეკემბერში მოიწონებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია). დოკუმენტი უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევას, რომელიც ჩატარდება სამოქმედო გეგმის შემუშავების და დასრულების ეტაპებზე. საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი კონსულტაციებს გამართავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს, კომუნიკაციის ფორმებისა და საშუალებების, სამიზნე ჯგუფების, აქტივობების აღწერის, გამოკვეთილი ინდიკატორების, პროექტის განმახორციელებლების, პოტენციური პარტნიორებისა და დაფინანსების წყაროს მითითებით.

სამოქმედო გეგმის განხორციელება დაევალება საქართველოს მთავრობის ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდება შესაბამისი სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებით, რომელშიც მიზანშეწონილია სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურების/დეპარტამენტების წარმომადგენლებმა. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ პლატფორმას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს წარუდგენს საჭიროებისამებრ შუალედურ (მიმდინარე წლის ივნისში) და სავალდებულო საბოლოო ანგარიშს (მიმდინარე წლის დეკემბერში) სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ. მიღწეული შედეგების ანალიზისას გამოყენებული იქნება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები, სამიზნე ჯგუფებისა და პარტნიორების მიერ წარმოდგენილი შეფასებები, ფოკუს ჯგუფებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევები.

ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის ვებ-გვერდებზე.

• დიალოგი და მოქნილობა

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია კომპლექსური და დინამიური პროცესია. ამ კუთხით განსახორციელებელი რეფორმების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ევროინტეგრაციის მიმართ საზოგადოების კეთილგანწყობაზე. ამის გათვალისწინებით კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია დიალოგისა და მოქნილობის პრინციპი, მუდმივი რევიზია და გზავნილების შინაარსის მორგება სამიზნე ჯგუფზე. გზავნილის შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის, სამიზნე ჯფუგების მრავალფეროვნებისა და მათგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

მოქნილობის პრინციპის გათვალისწინებით სხვა საკითხებთან ერთად, კომუნიკაციის შინაარსი უნდა პასუხობდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობის ინტერესებს[1].

[1] მაგალითად: Eurobarometer-ის უკანასკნელი კვლევების თანახმად იტალიის, მალტის, საფრანგეთის და ჰოლანდიის მოსახლეობას ყველაზე მეტად აინტერესებს მიგრაციის საკითხები.

კომუნიკაციის არხები და ფორმები

1. ელექტრონული მედია: ტელევიზია, ინტერნეტი და რადიო

ტელევიზია და რადიო წარმოადგენს ყველაზე მეტად ხელმისაწვდომ საინფორმაციო საშუალებას ზემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისათვის ქვეყნის შიგნით. ამას გარდა, ტელევიზია და რადიო დიდ როლს თამაშობს იმ დისკუსიებისა და დებატების წარმართვაში, რაც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას უკავშირდება და ამის გათვალიწსინებით იძლევა საშუალებას ქვეყნის მოქალაქეებს უკეთ მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული პროცესების შესახებ.

ყველაზე ხელსაყრელ სატელევიზო გადაცემებს წარმოადგენს თემატური პროგრამები, თოქშოუები, კლიპები, მოკლე დოკუმენტალური და ანიმაციური ფილმები. რადიოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია თემატური პროგრამები, თოქშოუები და ვიქტორინები. მათი მიზანი უნდა იყოს საზოგადოების ფართო მასების ინფორმირება, შესაბამისი გზავნილის სწრაფად გავრცელება და ევროინტეგრაციის მიმართულებით სხვადასხვა მიმდინარე თუ განსახორციელებელი აქტივობების მხარდაჭერა. ტელე და რადიო პროგრამები საშუალებას იძლევა მიმდინარე პროცესის შესახებ აუდიტორიას მიეწოდოს ობიექტური და სრულყოფილი ინფორმაცია, ხოლო თოქშოუების საშუალებით ხდება პირდაპირი კომუნიკაცია, აზრების დაპირისპირება და მოქალაქეთა მონაწილეობა დებატებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას.

ინტერნეტი კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არხია. იგი ინტერაქციისა და მრავალმხრივი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა, რაც სტრატეგიის განხორციელების ყველა ეტაპზე აუცილებელია.

არსებული ინტერნეტ კომუნიკაციის არხების გარდა, როგორებიცაა ვებ-პორტალები, სოციალური ქსელები, პრეზენტაციები და ელექტრონული პოსტები, უნდა შეიქმნას **platform web 2.0** (რაც მოიცავს ინტერნეტ ფორუმებს, ვიდეობის გაცვლის შესაძლებლობებს, ფოტოებს, ბლოგებს და ა.შ.), განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ახალგაზრდობასა და საერთაშორისო საზოგადოებას. ამ სფეროში მიმდინარე სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია არსებული შესაძლებლობების სრულად და ეფექტურად გამოყენება.

2. ბეჭდური მედია

კომუნიკაციის პროცესში ბეჭდვითი მედია გამოიყენება ევროკავშირისა და მისი მუშაობის შესახებ აუდიტორიისათვის უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მისაწოდებლად.

საჭიროა ფლაერების, ბროშურების, წიგნების, ბიულეტინების, სპეციალური გამოცემების, საგაზეთო სტატიების, პლაკატების და მარკების გამოცემა და გავრცელება. ყველაფერი ეს მოსახლეობის ინფორმირებულობის მნიშნველოვან წყაროს წარმოადგენს და ხელსაყრელია

შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას.

უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების სრულად ინფორმირებისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, გამოყენებული იქნება დიასპორული მედია-საშუალებები, მათ შორის ვებ-გვერდები, სოციალური ქსელები, ინტერნეტ-გამოცემები.

3. საზოგადოებრივი ღონისძიებები

საზოგადოებრივი ღონისძიებები სამიზნე ჯგუფებთან პირდაპირი ურთიერთობების მნიშნველოვან არხს წარმოადგენს. ისინი იძლევიან სამიზნე ჯგუფებთან სრულყოფილი კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების შესწავლის შესაძლებლობას.

საზოგადოებრივი ღონისძიებები მოიცავს საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებს, კონკურსებს, წარმოდგენებს, ვორკშოპებს, დისკუსიებს, მრგვალ მაგიდებს, დებატებსა და გამოფენებს. ყველა ამ ღონისძიების მიზანია ევროპული ღირებულებების და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის მხარდაჭერა. ამასთან, მათი მიზანია ევროინტეგრაციის თემაზე პლურარიზმის ხელშეწყობა.

4. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ წარმოადგენს ადგილს, სადაც ყველა დაინტერესებული მოქალაქე შეძლებს დამატებითი ინფორმაციის მიღებას ევროინტეგრაციის პროცესებზე. საქართველოს მთავრობა თანამშრომლობს ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრების გახსნის მიზნით.

5. პირადი კონტაქტები

პირადი კონტაქტები მოქალაქეებთან, ექსპერტებთან, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის და უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან მნიშნვნელოვანია ევროინტეგრაციის პროცესში ეფექტური კომუნიკაციის განსახორციელებლად.

გარდა ექსპერტებისა, საჭიროა მოსახლეობასთან ევროინტეგრაციის თემაზე კომუნიკაცია განხორციელდეს სხვადასხვა სფეროს, როგორებიცაა სპორტი, მუსიკა და სხვ. წარმომადგენლების მეშვეობით.

მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს მექანიზმს მიღწეული შედეგების გასაანალიზებლად, რათა დროულად მოხდეს შესაძლო შეცდომების აღმოჩენა ან აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსების გაზრდა.

კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, ევროკავშირის ექსპერტები და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლები. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მთავრობა პატივს სცემს კრიტიკულ მოსაზრებებს. ასევე, გახსნილია და უზრუნველყოფს დიალოგს სამოქალაქო საზოგადოებასთან მისი მხრიდან კრიტიკული მოსაზრებების პირობებშიც.

მონიტორინგი განხორციელდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების საფუძველზე. საზოგადოებრივი აზრის კვლევა, იქნება წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი და განხორციელდება რეგულარულად.

ინფორმირება ასოცირების შეთანხმების შესახებ

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის, აღმოსავლეთ პარტნიორობის და ასოცირების შეთანხმების შესახებ , ასევე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე საზოგადოებას უნდა მიეწოდოს **დროული და ამომწურავი** ინფორმაცია. ამის გათვალისწინებით, საჭიროა რეგულარული კომუნიკაცია შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

1. **საზოგადოებასთან** - მედია პროგრამების, საჯარო დებატების, ინტერაქტიული საკომუნიკაციო საშუალებების, პუბლიკაციების, სპეციალური ინტერნეტ გვერდების გამოყენებით, რომლებიც უშუალოდ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას შეეხება.

2. **სექტორულ სამიზნე ჯგუფებთან** - ბიზნეს ასოციაციები, სავაჭრო პალატები, პროფესიული გაერთიანებები, სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, აკადემიური საზოგადოება და სხვა.

ასოცირების შეთანხმების შესახებ საჭიროა სამიზნე ჯგუფების ინფორმირება შემდეგი აქტივობების განხორციელების გზით:

- **რეგულარული პრესკონფერენციებისა და თემატური კონფერენციების** გამართვა, რომლებიც ასოცირების შეთანხმების კონკრეტულ თავებს შეეხება.
- **სატელევიზიო და რადიო** დებატების და სხვა სახის საჯარო დისკუსიების ჩატარება.
- **ინტერნეტ გვერდის შემქნა და განახლება** - რომელიც დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას მიაწვდის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების შესახებ.

- **ინტერაქტიული საკომუნიკაციო საშუალებების** შექმნა და მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა (ელექტორული ფოსტა და სხვა).
- მოსახლეობისათვის **რეგულარული პუბლიკაციების მომზადება-მიწოდება,** ასევე სპეციფიურ სამიზნე ჯგუფზე გათვლილი პუბლიკაციების მომზადება-გავრცელება.
- სხვადასხვა მედია აქტივობების განხორციელება, როგორებიცაა სატელევიზიო **დებატები,** თემატური სატელევიზიო გადაცემები, რადიო გადაცემები, თანამშრომლობა ბეჭდვურ მედიასთან.
- **საზოგადოებრივი ღონისძიების** გამართვა საზოგადოების ფართო ჯგუფებთან პირადი კონტაქტების დასამყარებლად.

დასკვნა

სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისა და მასთან დაკავშირებული სარგებლისა და ვალდებულებების შესახებ ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებასთან კომუნიკაციის ჩარჩოს.

კომუნიკაციის სტრატეგიის შესრულება უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფების უკეთ ინფორმირებას ევროიტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევების, შესაძლებლობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზებას.

კომუნიკაციის სტრატეგიის შესასრულებლად შეიქმნება ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. გეგმას მოამზადებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი შესაბამის სამთავრობო უწყებებთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ პლატფორმასთან თანამშრომლობის საფუძველზე. ყოველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდება მიმდინარე კალენდარული წლის ბოლოს და დოკუმენტი განთავსდება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის ვებ-გვერდებზე.

დანართი

საშუალებები და აქტივობები

	სამიზნე ჯგუფი	საშუალება და აქტივობა
ზ ა მ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ლ ე ბ ი	მედია	სემინარები, სასწავლო ვიზიტები, საჯარო დისკუსიები, საზოგადოებრივი ღონისძიებები, პუბლიკაციები, თანამშრომლობა სატელევიზიო და რადიო პროგრამების მოსამზადებლად, თანამშრომლობა ჟურნალ-გაზეთებისთვის სტატიების მოსამზადებლად
	რელიგიური გაერთიანებები	კონფერენციები, საჯარო დისკუსიები, ლექციები, პუბლიკაციები, ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, ვებ-გვერდი, საზოგადოებრივი ღონისძიებები
	საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა სათემო გაერთიანებები	კონფერენციები, საჯარო დისკუსიები, ლექციები, პუბლიკაციები, ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, ვებ-გვერდი, საზოგადოებრივი ღონისძიებები
	პარლამენტის წევრები	პრეზენტაციები, სემინარები, კონფერენციები, საზოგადოებრივი დისკუსიები, ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საზოგადოებრივი ღონისძიებები, ვებ-გვერდი
	პოლიტიკური თანამდებობის პირები	პრეზენტაციები, სემინარები, კონფერენციები, საზოგადოებრივი დისკუსიები, ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საზოგადოებრივი ღონისძიებები, ვებ-გვერდი
	საჯარო მოხელეები	სემინარები, პრეზენტაციები, ლექციები, ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო დისკუსიები, საზოგადოებრივი ღონისძიებები, პუბლიკაციები, ვებ-გვერდი

	პოლიტიკური პარტიები	პრეზენტაციები, სემინარები, კონფერენციები, საჯარო დისკუსიები, ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საზოგადოებრივი ღონისძიებები, პუბლიკაციები, ვებ-გვერდი
	პროფესიული კავშირები	შესაბამისი პუბლიკაციები, თემატური სატელევიზიო და რადიო გადაცემები, თემატური ტელე და რადიო პროგრამები, საჯარო დისკუსიები, ვებ-გვერდი, სემინარები, პრეზენტაციები და საზოგადოებრივი ღონისძიებები
	მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულები	შესაბამისი პუბლიკაციები, თემატური ტელე და რადიო გადაცემები (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე), თემატური სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო დისკუსიები, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, ვებ-გვერდი, სემინარები, პრეზენტაციები, საზოგადოებრივი ღონისძიებები, დიალოგი სახელმწიფო სტრუქტურებთან
	მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები	თემატური ტელე და რადიო გადაცემები, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, თემატური პუბლიკაციები, საჯარო ღონისძიებები, თემატური შეხვედრები
	ბიზნეს ასოციაციები	შესაბამისი პუბლიკაციები, თემატური სატელევიზიო და რადიო გადაცემები, თემატური ტელე და რადიო პროგრამები, საჯარო დისკუსიები, ვებ-გვერდი, სემინარები, პრეზენტაციები და საზოგადოებრივი ღონისძიებები
	დიასპორული ორგანიზაციები	დიასპორული გამოცემები, დიასპორული ელექტრონული მედია-საშუალებები, დიასპორული ორგანიზაციების ვებ-გვერდები, ერთობლივი საჯარო ღონისძიებები, პარტნიორი უწყებების თემატური ერთობლივი შეხვედრები დიასპორასთან ადგილსამყოფელ ქვეყნებში
	საგანმანათლებლო დაწესებულებები	კონკურსები, სატელევიზიო პროგრამები, პუბლიკაციები, ვორკშოპები, საინფორმაციო კუთხეები, სემინარები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები

	არასამთავრობო ორგანიზაციები მათ შორის ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები	სემინარები, კონფერენციები, საზოგადოებრივი ღონისძიებები, საჯარო დისკუსიები, პუბლიკაციები, ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, თანამონაწილეობა პროექტების განხორციელებაში
	ადგილობრივი თვითმმართველობები	სემინარები, კონფერენციები, საჯარო დისკუსიები, ონლაინ ფორუმები, ტელე და რადიო პროგრამები ადგილობრივ მედია საშუალებებში, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, პუბლიკაციები, საზოგადოებრივი ღონისძიებები
	პროფესორ - მასწავლებლები და ხელოვნების მუშაკები	პუბლიკაციები, კონფერენციები, საჯარო დისკუსიები, ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრები, ვებ-გვერდი, სემინარები, საჯარო ღონისძიებები
ახალგაზრდები	ზოგადსაგანმანათ-ლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის მოსწავლეები	კონკურსები, სატელევიზიო გადაცემები, პუბლიკაციები, ლექციები, ვორკშოპები
	სტუდენტები	პუბლიკაციები, ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო დისკუსიები, ლექციები, სემინარები, ვორკშოპები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები, საინფორმაციო ტელეფონი, სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის ინსტიტუტებში, ევროკავშირის ინსტიტუტებში სასწავლო პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ ინფორმირება, ევროკავშირის ინსტიტუტების მუშაობის სიმულირება

მოწყვლადი ჯგუფები	პენსიონრები	ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, პუბლიკაციები
	სოფლად მცხოვრები საქართველოს მოსახლეობა	ტელე და რადიო პროგრამები (როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ დონეზე), თემატური სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო დისკუსიები, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, ვებგვერდი, სემინარები, პრეზენტაციები, საზოგადოებრივი ღონისძიებები
	იძულებით გადაადგილებული პირები	ტელე და რადიო პროგრამები (როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ დონეზე), თემატური სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო დისკუსიები, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, ვებგვერდი, სემინარები, პრეზენტაციები, საზოგადოებრივი ღონისძიებები
	„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა	ვებპორტალი, ტელე და რადიო გადაცემები
	ახალგაზრდები, რომლებიც არ იღებენ განათლებას	ზოგადი ტელე და რადიო გადაცემები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო დისკუსიები, ვებ-გვერდი, საზოგადოებრივი ღონისძიებები
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები	ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო დისკუსიები, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, ვებ-გვერდი, ლექციები, საზოგადოებრივი ღონისძიებები; ინფორმაციის მიწოდება ალტერნატიული საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით (მაგ. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილილი საინფორმაციო ბუკლეტები;

		ინფორმაციის მიწოდება ჟესტური ენის თარჯიმანთა გამოყენებით და სხვა.)
	საქართველოში მცხოვრები უმცირესობები	ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო დისკუსიები, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, ვებ-გვერდი, ლექციები, საზოგადოებრივი ღონისძიებები
	სოციალურად დაუცველი პირები	ტელე და რადიო პროგრამები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საზოგადოებრივი ღონისძიებები
	უმუშევრები	ზოგადი ტელე და რადიო გადაცემები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო დისკუსიები, ვებ-გვერდი, საზოგადოებრივი ღონისძიებები
	უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები	დიასპორული მედია-საშუალებები, მათ შორის ვებ-გვერდები, სოციალური ქსელები, ინტერნეტ-გამოცემები, საზოგადოებრივი ღონისძიებები